



ადმინისტრატორის სახელმძღვანელო

ს ჰეპატიტის მონაცემების ანალიტიკის
სისტემა

სარჩევი

1	სურათებისა და დიაგრამების სარჩევი	3
2	დოკუმენტის დანიშნულება.....	4
3	STOP C მონაცემების ანალიტიკის მოკლე აღწერილობა და ფუნქციონალი	4
4	STOP C პროგრამული ეკოსისტემა	4
4.1	NCDC.eHealth	4
4.2	MOH.ElimC.....	5
4.3	MOH.eHealth	5
4.4	სხვა დაკავშირებული მოდულები.....	5
5	ტექნიკური აღწერილობა	5
6	ადმინისტრირება	6
6.1	მთავარი.....	7
6.2	კატეგორიები	10
6.2.1	ახალი კატეგორიის დამატება.....	11
6.3	ცხრილები.....	11
6.3.1	ცხრილში ველებზე მოქმედებები.....	12
6.4	ლოგიკები.....	13
6.5	რეპორტები.....	16

1 სურათებისა და დიაგრამების სარჩევი

სურათი 1. C ჰეპატიტის ანალიტიკის სისტემის ზოგადი არქიტექტურა და დაკავშირებული ეკოსისტემის დიაგრამა	6
სურათი 2. ადმინისტრირების ინტერფეისის ძირითადი კომპონენტები: 1. ძირითადი მენიუ 2. დამატებითი მენიუ და 3. ანალიტიკის ინტერფეისი	7
სურათი 3. მთავარი მენიუ	7
სურათი 4. რეპორტის შექმნის პროცესის ლოგიკური დიაგრამა	8
სურათი 5. რეპორტის ბაზისური ინსტრუმენტები	9
სურათი 6. ანალიტიკის მთავარი ინტერფეისი (Dashboard)	9
სურათი 7. დიაგრამაზე განხორციელებადი მოქმედებები	10
სურათი 8. რეპორტების კატეგორიები ადმინისტრირების რეესტრი	10
სურათი 9. ახალი კატეგორიის დამატების ფანჯარა	11
სურათი 10. ცხრილების რეესტრის ინტერფეისი	12
სურათი 11. ცხრილის ველების სიის გამოტანა (1)	12
სურათი 12. ცხრილში ველის დამატება	13
სურათი 13. ცხრილის ველების რედაქტირება და წაშლა	13
სურათი 14. ლოგიკების რეესტრი	14
სურათი 15. ახალი ლოგიკის დამატების ინტერფეისი	14
სურათი 16. რეპორტის ლოგიკის აგება არსებული ლოგიკის მიხედვით	15
სურათი 17. პირობის ტიპის დამატება	15
სურათი 18. ლოგიკის დამატება SQL სკრიპტის საშუალებით	16
სურათი 19. ახალი პირობის დამატება (Select)	16
სურათი 20. სისტემის რეპორტების რეესტრის ინტერფეისი	17
სურათი 21. ახალი რეპორტის დამატების ინტერფეისი	17
სურათი 22. რეპორტზე არსებული ლოგიკის დამატების პარამეტრები	18

2 დოკუმენტის დანიშნულება

C ჰეპატიტის მონაცემების ანალიტიკის სისტემის ¹ (STOP C Analytics) ადმინისტრატორის სახელმძღვანელო წარმოადგენს STOP C სისტემის დანერგვისა და გამართვის პროექტის ფუნდამენტურ ნაწილს. დოკუმენტი აღწერს სისტემის კომპონენტების ზოგად სტრუქტურასა და წარმოადგენს ადმინისტრატორის ინტერფეისთან მუშაობის დეტალურ ინსტრუქციას.

მიმდინარე დოკუმენტი არ მოიცავს სისტემის კომპონენტების ტექნიკურ სტრუქტურას, მათი ურთიერთქმედების სპეციფიკას და გამოყენებულ ტექნოლოგიებს. ეს ინფორმაცია მოცემულია C მონაცემების ანალიტიკის სისტემური არქიტექტურის დოკუმენტში ², რომელიც განკუთვნილია სისტემის ადმინისტრატორებისა და დეველოპერებისთვის და შეიცავს ყველა საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას სისტემის სამომავლო მხარდაჭერისა და განვითარებისთვის.

3 STOP C მონაცემების ანალიტიკის მოკლე აღწერილობა და ფუნქციონალი

C ჰეპატიტის მონაცემების ანალიტიკის სისტემა წარმოადგენს ელიმინაციის (STOP C Elimination) ელექტრონული ეკოსისტემის ნაწილს, რომლის დანიშნულებაცაა C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სკრინინგის კომპონენტითა და სხვა მოდულებით გათვალისწინებული C ჰეპატიტზე მონაცემების აღრიცხვა და დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კონფირმაციული კვლევისთვის საჭირო სისხლის ნიმუშის აღებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ელექტრონულად რეგისტრირებული მონაცემების ანალიზის და ვიზუალიზაცია.

C ჰეპატიტის ანალიტიკის მოდული (STOP C Analytics) განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://stop-c.moh.gov.ge>.

4 STOP C პროგრამული ეკოსისტემა

გარდა STOP C ანალიტიკური მოდულისა, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამული ეკოსისტემა შედგება სხვადასხვა ტიპის სისტემებისა და მოდულებისგან, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ფიზიკურ და პროგრამულ პლატფორმებზე. ეს მოდულების დაყოფილია 4 ძირითად ჯგუფად:

- NCDC.eHealth
- MOH.ElimC
- MOH.eHealth
- სხვა მოდულები

4.1 NCDC.eHealth

ეს მოდულების მოიცავს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის³ (NCDC) პროცესების მართვის სხვადასხვა პროგრამულ ინსტრუმენტებს, რომლის ნაწილიცაა STOP C მონაცემების ანალიტიკის მოდულიც. ანალიტიკური მოდულის გარდა ამ კომპონენტის შემადგენლობაშიც შედის STOP C-ს პროგრამების მართვის შემდეგი მოდულები:

- NCDC.eHealth.Screening: C ჰეპატიტის სკრინინგი
- NCDC.eHealth.Analytics: C ჰეპატიტის ანალიტიკა
- NCDC.eHealth.UM: მომხმარებელთა მართვის მოდული

¹ ანალიტიკის ლინკი

² ანალიტიკის სისტემური არქიტექტურის ლინკი

³ <http://www.ncdc.ge>

- NCDC.eHealth.CM: საერთო მონაცემების მოდულის
- NCDC.eHealth.SB: საინტეგრაციო მოდული (RPC)
- NCDC.eHealth.Tools: ინსტრუმენტების ბიბლიოთეკა
- NCDC.eHealth.SMS: SMS მოდული

4.2 MOH.ElimC

ეს მოდულები წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოში არსებულ მოდულებს, რომლის საშუალებითაც ხდება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება და შედეგა შემდეგი მოდულებისგან:

- MOH.ElimC.Treatment: მკურნალობა
- MOH.ElimC.SSA: SSA კომისია
- MOH.ElimC.Drugs: მედიკამენტების მართვა
- MOH.ElimC.Monitoring: მონიტორინგი

4.3 MOH.eHealth

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ელექტრონული ჯანდაცვის მოდულები წარმოადგენს კომპლექტურ დამოუკიდებელ ეკო-სისტემას, რომლის დანიშნულებაცაა სამინისტროს სხვადასხვა მიმართულების პროცესის ავტომატიზაცია. მოდულების რაოდენობა 30-ზე მეტია, თუმცა STOP C სისტემისთვის ინფორმაციის წყაროსა და სამიზნეს წარმოადგენს შემდეგი მოდულები:

- MOH.eHealth.Billing: ფინანსური მოდული
- MOH.eHealth.Reporting: რეპორტირების მოდული

4.4 სხვა დაკავშირებული მოდულები

ეკოსისტემაში ასევე შედის ორი გარე მოდული, რომლებიც C ჰეპატიტის ბიზნეს პროცესში მონაწილეობენ:

- SafetyBlood: უსაფრთხო სისხლის ელექტრონული მოდული
- LMIS: ლაბორატორიის ინფორმაციული მართვის სისტემა


5 ტექნიკური აღწერილობა

C ჰეპატიტის ანალიტიკის მოდულში რეალიზებულია ორი ძირითადი ფუნქცია:

1. მონაცემების საცავი
 - a. ეს ფუნქცია რეალიზებულია მონაცემების ბაზის საშუალებით, რომელიც სხვა დაკავშირებული სისტემებიდან მოგროვილ მონაცემებს, რომლებიც ინახება C ჰეპატიტის სკრინინგის ბაზაში (Mongo DB) ყოველდღიურად აკოპირებს მონაცემების რელაციურ ბაზაში (Microsoft SQL, უშუალოდ ანალიტიკის მონაცემების საცავი, რომლის საფუძველზეც ხდება შედეგების ვიზუალიზაცია).
2. მონაცემების ანალიტიკა და ვიზუალიზაცია
 - a. უშუალოდ ანალიტიკის ფუნქცია, რომლის საშუალებითაც Microsoft SQL-ში შეკრებილი სტრუქტურირებული მონაცემების საფუძველზე ხდება რეპორტების აგება, ცხრილის ან გრაფიკული სახით
 - b. ანალიტიკის ფუნქცია თავის მხრივ ორ ქვე-ფუნქციას მოიცავს:
 - i. არსებული რეპორტების ინტერფეისზე ვიზუალიზაცია

ii. რეპორტების შექმნა და ცვლილება ადმინისტრატორის მიერ

1. ამ ფუნქციონალის ინსტრუქციას წარმოადგენს მიმდინარე დოკუმენტი



სურათი 1. C ჰეპატიტის ანალიტიკის სისტემის ზოგადი არქიტექტურა და დაკავშირებული ეკოსისტემის დიაგრამა


ძირითადი ფუნქციის გარდა სისტემის მუშაობის დამატებით ფუნქციებს წარმოადგენს მომხმარებლების მართვა და ცნობარების მართვა. ეს ფუნქციები რეალიზებულია დამხმარე მოდულების საშუალებით: მომხმარებელთა მართვის მოდული (User Management, UM) და საერთო მონაცემების მოდული (Common Data Module, CM). საერთო მონაცემების მოდულის საშუალებით ასევე ხდება მრავალენოვანი ფუნქციის მხარდაჭერა და ლოგირება.

სურათი 1 წარმოადგენს ძირითადი და დამატებითი ფუნქციონალის განხორციელების დიაგრამას C ჰეპატიტის პროგრამულ ეკოსისტემაში.

6 ადმინისტრირება

ადმინისტრირების ინტერფეისი შედგება 3 ძირითადი კომპონენტისგან: 1. ძირითადი მენიუ 2. დამატებითი მენიუ და 3. ანალიტიკის ინტერფეისი (ე.წ. Dashboards). **სურათი 2-ზე** მოცემული ინტერფეისის ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი მენიუს საშუალებით შესაძლებელია ნავიგაცია ადმინისტრირების ძირითად კომპონენტებს შორის. დამატებითი მენიუ უზრუნველყოფს პაროლისა და სამუშაო ენის ცვლილებას,



სურათი 2. ადმინისტრირების ინტერფეისის ძირითადი კომპონენტები: 1. ძირითადი მენიუ 2. დამატებითი მენიუ და 3. ანალიტიკის ინტერფეისი


ასევე სისტემის გადაყვანას თარგმნის რეჟიმში (Translation Mode). თავის მხრივ შედეგა შედეგი კომპონენტებისგან (სურათი 3):

- ადმინისტრირების კომპონენტი
 - მთავარი
 - კატეგორიები
 - ცხრილები
 - ლოგიკები
 - რეპორტები
- რეპორტი


6.1 ადმინისტრირების პროცესი

სურათი 4 წარმოადგენს რეპორტის შექმნის პროცესის ზოგად აღწერას. პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება:

1. კატეგორიის შექმნა
2. ცხრილის შექმნა
 - a. უნდა მიენიჭოს წინასწარ შექმნილი კატეგორია
 - b. ცხრილის შექმნა შესაძლებელია ხელით
 - c. ცხრილის შექმნა შესაძლებელია Excel-ის ფაილის ატვირთვით
3. ლოგიკის შექმნა
 - a. შესაძლებელია არსებული ლოგიკის გამოყენება
 - b. ლოგიკა შეიძლება შექმნას ცხრილის საფუძველზე
4. შექმნილი ცხრილისა და ლოგიკის საფუძველზე საბოლოო რეპორტის შექმნა



სურათი 3. მთავარი მენიუ



სურათი 4. რეპორტის შექმნის პროცესის ლოგიკური დიაგრამა


6.2 მთავარი

მთავარი წარმოადგენს ვებ გვერდის ძირითად ინტერფეისს, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ლოგიკებით შექმნილი რეპორტების ნახვა (იგივეა, რაც „რეპორტი“, სურათი 6).


მთავარ გვერდზე შესაძლებელია რეპორტებთან მუშაობისთვის შემდეგი უნიფიცირებული ფუნქციონალის გამოყენება (სურათი 5):

1. პერიოდი - შესაძლებელია რეპორტების მიღება განსაზღვრული პერიოდის მიხედვით
2. განახლება (Refresh) - საჭიროა განახლება პერიოდის შეცვლის შემთხვევაში
3. Single/Multiple - შესაძლებელია ერთი ჩარტის ჩვენება ერთ გვერდზე ან რამდენიმესი ერთდროულად
4. ბაზების გადმოწერა - შესაძლებელია სისტემიდან გადმოწერილ იქნას შემდეგი ბაზები:
 - a. სისტემის დეტალური ცვლადები
 - b. სკრინინგის ბაზა
 - c. eHealth-ის მონიტორინგის ბაზა
 - d. eHealth-ის დიაგნოსტიკის ბაზა
 - e. Stop-C მკურნალობის ბაზა
 - f. Elim-C მკურნალობის ბაზა

5. არჩევა - შექმნილი რეპორტებიდან სასურველის არჩევა




სურათი 6. ანალიტიკის მთავარი ინტერფეისი (Dashboard)



სურათი 5. რეპორტის ბაზისური ინსტრუმენტები

თითოეული ჩარტისათვის დამატებით შესაძლებელია შემდეგი მოქმედებები (სურათი 7):

- Chart Types: დიაგრამის ტიპის შეცვლა. შესაძლო ვარიანტებია:
 - Bar
 - GroupedBar
 - Line
 - Pie
 - Radar
 - Polar Area
 - Dougnut
 - Horizontal Bar
 - Bubble
- Export: ანალიტიკური რეპორტის გადმოწერა. შესაძლებელი ფორმატები
 - Excel
 - CSV
 - PDF
 - Image
- Close: დიაგრამის დახურვა
- Expand: დიაგრამის მთელს ეკრანზე გაშლა



სურათი 7. დიაგრამაზე განხორციელებადი მოქმედებები

6.3 კატეგორიები

რეპორტების შექმნამდე აუცილებელია შეიქმნას დამატგუფებელი კატეგორია, რომელშიც გაერთიანდება სხვადასხვა რეპორტი. კატეგორიები ჯგუფდება ადმინისტრირების მენიუში. კატეგორიების განყოფილებაში გადასვლისას ჩანს კატეგორიების სია (სურათი 8).

შესაძლებელია კატეგორიის გადანაცვლება სიაში ზემოთ, გადანაცვლება ქვემოთ, რედაქტირება, წაშლა და დამატება:

1. Up (სიაში ზემოთ ატანა)
2. Down (სიაში ქვემოთ ჩამოტანა)
3. Edit (კატეგორიის რედაქტირება)
4. Delete (კატეგორიის წაშლა)
5. Add (ახალი კატეგორიის დამატება)


Number	Name	Order Index	Language
1	სკრინინგი	1	ka-GE
1	Screening	1	en-US

სურათი 8. რეპორტების კატეგორიები ადმინისტრირების რეესტრი

6.3.1 ახალი კატეგორიის დამატება

დამატების დროს დაჭერით გამოჩნდება კატეგორიის დამატების ფანჯარა (სურათი 9). კატეგორიის შექმნისას საჭიროა თითოეულ კატეგორიას მიენიჭოს:

- Number: ნომერი
- Category Name: კატეგორიის დასახელება
- Language: კატეგორიის ენა
- Parent: მშობელი კატეგორია
- Order Index: რიგითობა კატეგორიების სიაში
- Category Icon: კატეგორიის ხატულა (ასატვირთი გამოსახულება)



სურათი 9. ახალი კატეგორიის დამატების ფანჯარა

6.4 ცხრილები

ცხრილები წარმოადგენს მონაცემთა წყაროს, რომლებიც შემდგომ სხვადასხვა რეპორტის შექმნის დროს გამოიყენება. ცხრილები ივსება დაიმპორტებული მონაცემებით ან ხელით (სურათი 10).

ცხრილების რეესტრში შესაძლებელია:

1. Add Table - ახალი ცხრილის დამატება
2. Sync Tables - სინქრონიზაცია (შექმნილი ცხრილის SQL გენერაცია)

თითოეულ ცხრილს აქვს:

3. სახელი (Name)
4. ტიპი (Type)
5. სტატუსი (Status)

ცალკეული ცხრილის შემთვევაში შესაძლებელია:

6. Edit - ცხრილის რედაქტირება

1	2	3	4	5
		Name	Type	Status
		C_Hepatitis_ElimC		Synchronized
		tbl_2280401408_HIV_shemowmebis_shedegi		Synchronized
		tbl_8261979_HCV_shemowmebis_shedegi		Synchronized
		tbl_2189393833_beiWdva		Synchronized
		tbl_0_sakilevi_masala		Synchronized
		tbl_0_samizne_jgufebi		Synchronized
		tbl_0_sqesi		Synchronized
		tbl_0_misamarti		Synchronized
		tbl_2057044583_skriningi		Synchronized
		tbl_0_kvlevis_shedegi		Synchronized
		tbl_0_kvlevis_metodi		Synchronized
		C_Hepatitis_Monitoring		Synchronized
		C_Hepatitis_Diagnostic		Synchronized
		SSA_STOPC_DRUGS		Synchronized

სურათი 10. ცხრილების რეგისტრის ინტერფეისი

7. Delete - ცხრილის წაშლა
8. Add - ცხრილში სვეტის დამატება
9. Synchronize - ცხრილის მონაცემების სინქრონიზაცია
10. Clone - ცხრილის კლონირება/კოპირება Table Data ცხრილის მონაცემები (ექსელის დაიმპორტებული ან ხელით შეტანილი)
11. Table Data - მონაცემები ცხრილში (ექსელის დაიმპორტებული ან ხელით შეტანილი)

		Name	Type	Status
1		C_Hepatitis_ElimC		Synchronized
		tbl_2280401408_HIV_shemowmebis_shedegi		Synchronized
		ID	String	
		OrganizationRegion	String	
		fid_2041952194_kvlevis_metodi	String	
		PreviousID	String	
		UserID	String	
		OrganizationRegionID	String	
		Description	String	
		FormID	String	
		fid_989331195_sakilevi_masala	String	
		StatusID	String	
		OrganizationMunicipalityID	String	
		_id	String	
		DateCreated	DateTime	
		fid_70148134_HIV_shemowmebis_tarik	DateTime	
		OrganizationCountryID	String	
		fid_1963259327_HIV_kvlevis_shedegi	String	
		OrganizationName	String	
		DateDeleted	DateTime	


სურათი 11. ცხრილის ველების სიის გამოტანა (1)

“+“-ლილასის გამოყენებით შესაძლებელია ცხრილში ველების დასახელებებისა და ტიპების გამოტანა (სურათი 11).

6.4.1 ცხრილში ველებზე მოქმედებები

ცხრილის შექმნის შემდეგ შესაძლებელია მასში ველების/სვეტების დამატება (სურათი 12). თითოეულ სვეტს აქვს სახელი და ტიპი, რომელიც შესაძლოა იყოს 4 სახის:

1. String: ტექსტური ველი
2. Integer: რიცხვითი ველი (მთელი რიცხვი)
3. Float: რიცხვითი ველი (ათწილადი)
4. DateTime: თარიღის ველი



სურათი 12. ცხრილში ველის დამატება

ცხრილიდან ასევე შესაძლებელია სვეტების რედაქტირება და წაშლა (სურათი 13):

1. Edit: რედაქტირება
2. Delete: წაშლა




Table Name	Column Name	Column Type	Status
tbl_0_kvlevis_metodi	ID	String	Synchronized
	_jd	String	
	fld_3883612974_Name	String	
	fld_1378004943_Group	String	
	fld_3235304295_Value	String	
C_Hepatitis_Monitoring			Synchronized
C_Hepatitis_Diagnostic			Synchronized

სურათი 13. ცხრილის ველების რედაქტირება და წაშლა

6.5 ლოგიკები

ლოგიკების გვრდზე გადასვლისას შესაძლებელია უკვე შექმნილი ლოგიკების სიის ნახვა და ახალი ლოგიკ(ებ)ის დამატება (სურათი 14).


სისტემაში შექმნილ თითოეულ ლოგიკას აქვს შემდეგი ატრიბუტი:

1. Name: ლოგიკის დასახელება
2. Type: ლოგიკის ტიპი (Logic ან Query)
3. SourceType: მონაცემის წყაროს ტიპი (მაგ.: Table)

ლოგიკების რეესტრიდან შესაძლებელია სისტემაში უკვე შექმნილი ლოგიკების ნახვა (View), რედაქტირება (Edit) და წაშლა (Delete).

ახალი ლოგიკის დამატების შემთხვევაში (Add Logic), საჭიროა ლოგიკას მიეთითოს (სურათი 15):

1. Source Type: მონაცემთა წყაროს ტიპი (Table ან Logic / ცხრილი ან ლოგიკა)
2. Source: წყარო არის სისტემაში უკვე შექმნილი ცხრილი (Table)
3. Source: წყარო არის სისტემაში უკვე შექმნილი ლოგიკა (Logic)
4. Logic Type: ლოგიკის ტიპი (ლოგიკა ან სკრიპტი / Logic ან Query)
5. Name: ლოგიკის დასახელება




	Name	Type	SourceType
1	Diagnostic	Logic	Table
2	Georgia Hepatitis C Elimination Program Care Cascade + StopC	Query	Table
3	სკრინინგი და მკურნალობის წყაროების მიხედვით	Query	Table
	ჩაჩვენებული პაციენტების მიხედვით	Query	Table
	Quantities By Age and Gender with ID Positive	Query	Table
	Quantities By Age and Gender with ID	Query	Table
	სკრინინგები პაციენტების და შედეგების მიხედვით	Query	Table
	Positive Quantities by Age and gender	Query	Table
	Quantities By Age and Gender	Query	Table
	სულ რეგისტრირებული სკრინინგები %	Query	Table
	სულ რეგისტრირებული სკრინინგები	Query	Table
	Registrations by organization	Query	Table
	Quantities And Percentages by Region	Query	Table
	Patients, Daily Avg and Drugs counts	Query	Table
	Cured Persons By Age Range	Query	Table
	Cured By Gender ElimC	Query	Table
	Completed treatments By Period	Query	Table
	Cured By Period	Query	Table

სურათი 14. ლოგიკების რეესტრი

როდესაც რეპორტის ლოგიკა იქმნება უკვე არსებული ლოგიკის მიხედვით (Logic Type = Logic), საჭიროა გაიწეროს ამ ლოგიკაზე შემდეგი პირობები (სურათი 15, სურათი 16):

1. Where condition: მონაცემების ცხრილის მითითება
2. Group by: დაჯგუფება პირობის მიხედვით
3. Order by: სორტირება პირობის მიხედვით
4. Select: ველ(ებ)ის/სვეტ(ებ)ის არჩევა



Source Type: ☒ Table ☐ Logic

Source:

Logic Type: ☒ Logic ☐ Query

Name:

Where conditions:

Group By:


Order By:

Select:

სურათი 15. ახალი ლოგიკის დამატების ინტერფეისი

თითოეული პირობის დამატებისას საჭიროა შესაბამისი პირობისა და ტიპის გაწერა (Expression and Type). პირობის ტიპი (Type) შესაძლოა იყოს (სურათი 17):


1. Unspecified - დაუზუსტებელი



სურათი 16. რეპორტის ლოგიკის აგება არსებული ლოგიკის მიხედვით

2. Text - ტექსტი
3. Number - რიცხვი
4. DateTime - თარიღი

მხოლოდ ველების შერჩევის (Select) შემთხვევაში, საჭიროა შესაბამისი სახელის, პირობის და ტიპის გაწერა (Expression and Type) (სურათი 19).




სურათი 17. პირობის ტიპის დამატება


როცა ლოგიკა იქმნება მონაცემთა ბაზის სკრიპტის (SQL Query^{4 5}) მიხედვით (ანუ Logic Type = Query) საჭიროა შესაბამისი სკრიპტის გაწერა (სურათი 18).

⁴ <https://docs.microsoft.com/en-us/sql/odbc/reference/structured-query-language-sql?view=sql-server-2017>

⁵ <https://www.w3schools.com/sql/>



სურათი 19. ახალი პირობის დამატება (Select)



სურათი 18. ლოგიკის დამატება SQL სკრიპტის საშუალებით

6.6 რეპორტები

რეპორტების გვერდზე გადასვლისას შესაძლებელია სისტემაში უკვე შექმნილი რეპორტების სიის (რეესტრის) ნახვა (სურათი 20).


რეპორტების რეესტრიდან შესაძლებელია არსებული რეპორტების ნახვა, რედაქტირება და წაშლა:

1. View
2. Edit
3. Delete

ახალი რეპორტის დამატებისას, უნდა მიეთითოს შემდეგი სახის ინფორმაცია (სურათი 21):


- Public: იყოს თუ არა რეპორტი ყველასათვის ხილვადი
- Default: არჩეულ იქნას თუ არა რეპორტი ავტომატურად
- Language: რეპორტის ენის არჩევა (ქართული/ინგლისური/რუსული)
- Name: რეპორტის სახელი
- Order Index: რეპორტის რიგითობა ინტერფეისზე
- XlabelAngle: არ გამოიყენება
- Category: კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნება ეს რეპორტი
- Description: რეპორტის აღწერა

- Interpretation: რეპორტის აღწერა/ინტერპრეტაცია
- Source: წყარო
- Type: რეპორტის ტიპი (Grid/Chart)
- Logics: ლოგიკა, რომლის მიხედვითაც იგება რეპორტი



Name	Language	Public	Default	Type	Order Index
1 - Screening					
11. მკურნალობის კასკადი (ElimC+StopC)	ka-GE	True	False	Chart	20
12. სკრინინგი და მკურნალობა წყაროების მიხედვით	ka-GE	True	False	Chart	55
13. ჩართულობა პერიოდის მიხედვით	ka-GE	True	False	Chart	58
6. დიდებით სკრინინგები ასაკის და სქესის მიხედვით (პირადი წიგნები)	ka-GE	True	False	Chart	25
5. სკრინინგები ასაკის და სქესის მიხედვით (ID-ით რეგისტრირებული)	ka-GE	True		Chart	20
4. სკრინინგების დინამიკა	ka-GE	True		Chart	15
9. წყაროებზე სტრუქტურირებული სკრინინგები	ka-GE	True		Chart	40
7. დიდებით სკრინინგები ასაკის და სქესის მიხედვით (ცვლელა)	ka-GE	True		Chart	30


სურათი 20. სისტემის რეპორტების რეგისტრის ინტერფეისი



სურათი 21. ახალი რეპორტის დამატების ინტერფეისი

რეპორტზე უკვე შექმნილი ლოგიკის დამატებისთვის საჭიროა არჩეულ იქნას შემდეგი პარამეტრები (სურათი 22):

- Type - ტიპი. შეიძლება იყოს შემდეგი ვარიანტები:
 - Ba
 - GroupedBa
 - Line
 - Pie
 - Radar
 - Polar Area
 - Doughnut
 - Horizontal Bar
 - Bubble
- Table - სისტემაში უკვე შექმნილი ცხრილი
- Logic - სისტემაში უკვე შექმნილი ლოგიკა
- Caption - მოკლე ტექსტური აღწერა
- Xvalue – X ღერძის მნიშვნელობა
- Yvalue – Y ღერძის მნიშვნელობა



The screenshot shows a web interface titled 'oose'. It contains several configuration options, each with a dropdown menu:

- Type: Select An Option
- Table: Select an Option
- Logic: Select an Option
- Caption: Select an Option
- XValue: Select an Option
- YValue: Select an Option

Below these options is a green button with a plus sign. Underneath is a table with the following structure:

	Caption	XValue	YValue

Below the table, it says 'Showing 1 to 1 of 1 entries'. There is a search bar labeled 'Search:'. At the bottom, there are pagination controls: 'Show 10 entries', 'Previous', '1', and 'Next'. There are also two green buttons at the bottom left: one with a document icon and one with a close icon.

სურათი 22. რეპორტზე არსებული ლოგიკის დამატების პარამეტრები